



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N623 2015 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისათვის წარდგენის მიზნით, შეიქმნას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;
- დ) საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე;
- ე) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

ვ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ზ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

თ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ი) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი;

კ) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

ლ) კოალიციის - „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წარმომადგენელი.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის თანდართული წესი.

**მუხლი 3.** ამ წესის დაცვით შედგენილი მოსამართლის კანდიდატურების სია საქართველოს მთავრობას წარედგინოს არა უგვიანეს 2016 წლის 15 აპრილისა.

**მუხლი 4.** კომისიის მუშაობა დასრულებულად ჩაითვალოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ კენჭისყრის პროცედურის დასრულებისთანავე.

**მუხლი 5.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ.



ირაკლი ღარიბაშვილი



**2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან  
ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების  
შერჩევის წესი**

**მუხლი 1.** ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევის სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოა, რომელიც შექმნილია ამ წესის შესაბამისად 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევისა და საქართველოს მთავრობისათვის მათი წარდგენის მიზნით.

**მუხლი 2**

1. უფლებამოსილებათა განხორციელებისას კომისია ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებით, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის №1366, 2009 წლის №1646, 2010 წლის №1726 და მინისტრთა კომიტეტის (2009)5 და (2010)6 რეზოლუციებით.

2. კომისიის ამოცანაა, მკაცრი, სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურის შედეგად შეადგინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატა ისეთი სია, რომელიც, როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას რეალური არჩევანის საშუალებას მისცემს.

### მუხლი 3

1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს კომისიის მუშაობას, იწვევს კომისიის სხდომებს და უძღვება მათ. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის დროს, მის უფლებამოსილებას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, კომისიის გადაწყვეტილებით, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, ხმის უფლების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნენ ექსპერტები და სპეციალისტები.
4. კომისიასთან იქმნება სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

### მუხლი 4

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. კომისიის სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.
4. კომისიის სხდომები ღიაა მედიის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც წინასწარ გაივლიან რეგისტრაციას კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან. სხდომის დაწყების შემდეგ მედიის წარმომადგენლები დარბაზში არ დაიშვებიან.

5. ვიდეო და ფოტოგადაღება დაიშვება მხოლოდ სხდომის დაწყებისას, სხდომის დაწყების შემდეგ კი შესაბამისი დანიშნულების აპარატურა დარბაზიდან გატანილ უნდა იქნეს.

### მუხლი 5

1. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატი შეიძლება იყოს 30-დან 65 წლამდე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას;

ბ) კარგად ფლობს ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას (ინგლისურს ან ფრანგულს);

გ) სრულყოფილად ფლობს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, შესაბამის პრეცედენტულ სამართალს და აქვს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება;

დ) სრულყოფილად ფლობს საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებსა და საქართველოს კანონმდებლობას;

ე) აკმაყოფილებს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან არის აღიარებული კომპეტენტურობის მქონე სამართალმცოდნე;

ვ) აქვს პროფესიით მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება;

ზ) აქვს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია.

2. ევროპის საბჭოს მეორე ოფიციალური ენის საშუალო დონეზე ფლობა მოცემული კანდიდატის უპირატესობად ჩაითვლება.

### მუხლი 6

1. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის მიზნით, ადამიანის

უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან არჩეული მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 12 თვისა, კომისია საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას ვაკანსიის შესახებ და კანდიდატებს განუსაზღვრავს სულ მცირე ერთთვიან ვადას დოკუმენტაციის წარსადგენად.

2. კანდიდატი ვალდებულია, კომისიას წარუდგინოს საკონკურსო განაცხადი, რომელიც შედგება სამოტივაციო ბარათის, ავტობიოგრაფიისა (*Curriculum Vitae*) და მასში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტებისაგან.

3. ავტობიოგრაფია (*Curriculum Vitae*) შედგენილი უნდა იყოს ამ წესის დანართში (დანართი №1) მოცემულ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ დადგენილ სამოდელო ფორმატში, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4. არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის განაცხადი არ მიიღება განსახილველად.

## მუხლი 7

1. ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად, საკონკურსო განაცხადების პირველად გადარჩევას აწარმოებს კომისიის სამდივნო და შედეგებს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას.

2. პირველადი შედეგების დამტკიცების შემდეგ, ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ატარებს ტესტირებას.

3. ტესტირებაში გამარჯვებული (მინიმუმ B1 დონე) კანდიდატების განაცხადებს კომისია განიხილავს სხდომაზე, იწვევს თითოეულ კანდიდატს და ისმენს მის მოსაზრებებს.

4. კომისიის წევრი კანდიდატს აფასებს დამოუკიდებლად, ამ წესის დანართში მოცემული შეფასების სპეციალური ფორმის მიხედვით (დანართი

№2) და ანიჭებს მას ერთიან ქულას. კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საფუძველზე ხდება თითოეულ კანდიდატთან მიმართებით საშუალო ჯამური ქულის გამოყვანა.

5. კომისიის მიერ ყველა კანდიდატთან გასაუბრების შემდეგ, საშუალო ჯამური ქულების კლებადობის მიხედვით, კანდიდატთა სქესის შესაბამისად, მტკიცდება ორი სია. ამგვარად, დამტკიცებული სიების საფუძველზე კომისია შეადგენს ხუთი კანდიდატისაგან შემდგარ სიას, რომელშიც ორივე სიიდან შედის საუკეთესო შედეგის მქონე პირველი ორი კანდიდატი, ასევე ერთ-ერთ სიაში ქულების მიხედვით მომდევნო ადგილის მქონე ის კანდიდატი, რომელსაც შესაბამის სიაში იმავე ადგილის მქონე სხვა სქესის კანდიდატთან შედარებით უფრო მაღალი ქულა აქვს. მოცემულ სიას კომისიის თავმჯდომარე კომისიის სახელით წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

6. შერჩევის ყველა ეტაპზე მონაწილე კანდიდატების ვინაობა, მათ მიერ კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები, ტესტირების შედეგები, გასაუბრების შეფასებები, ასევე კომისიის გადაწყვეტილებები და ოქმები საჯაროა და ისინი უნდა გამოქვეყნდეს.

## მუხლი 8

1. საქართველოს მთავრობა განიხილავს კომისიის მიერ მისთვის წარდგენილ კანდიდატურებს და ამტკიცებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისათვის წარსადგენი სამი კანდიდატის ვინაობას, რომელთაგან ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხდომაზე მოიწვიოს კანდიდატები და მოისმინოს მათი მოსაზრებები.

2. თუ საქართველოს მთავრობა არ დაამტკიცებს არც ერთ კანდიდატს, კომისია, ამ წესის შესაბამისად, ხელახლა იწყებს კანდიდატთა შერჩევის პროცესს. საქართველოს მთავრობის მიერ სამზე ნაკლები კანდიდატის დამტკიცების შემთხვევაში, კომისია, ამ წესის შესაბამისად, ხელახლა ატარებს

შერჩევის პროცესს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სიის სამ კანდიდატამდე შევსების მიზნით.

**მუხლი 9.** საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურებს წარუდგენს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას.



ავტობიოგრაფიის (*Curriculum Vitae*) სამოდელო ფორმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ასარჩევი კანდიდატებისათვის

იმისათვის, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს ჰქონდეთ ურთიერთშესადარებელი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა ასარჩევად, კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე ავტობიოგრაფია შემდეგი მონაცემების მითითებით:

**I. პირადი მონაცემები**

გვარი, სახელი

სქესი

დაბადების თარიღი და ადგილი

მოქალაქეობა/მოქალაქეობები

**II. განათლება, აკადემიური და სხვა კვალიფიკაცია**

**III. პროფესიული საქმიანობა შესაბამის სფეროში**

ა. სამოსამართლო საქმიანობის აღწერა

ბ. სამართლებრივ სფეროში საქმიანობის აღწერა, რომლებიც სამოსამართლო საქმიანობის არ უკავშირდება

გ. პროფესიული საქმიანობის აღწერა არასამართლებრივ სფეროში

(გთხოვთ, ხაზი გაუსვათ იმ თანამდებობას (თანამდებობებს), რომლებიც ამჟამად გიკავიათ)

**IV. საქმიანობა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა სფეროში**

**V. საჯარო საქმიანობა**

ა. საჯარო თანამდებობაზე მუშაობა

ბ. არჩევით თანამდებობაზე მუშაობა

გ. თანამდებობები, რომლებიც გეკავათ პოლიტიკურ პარტიაში ან მოძრაობაში

(გთხოვთ, ხაზი გაუსვათ იმ თანამდებობას (თანამდებობებს), რომლებიც ამჟამად გიკავიათ)

**VI. სხვა საქმიანობა**

ა. სფერო

ბ. ხანგრძლივობა

გ. ფუნქციები

(გთხოვთ, ხაზი გაუსვით თქვენს ამჟამინდელ საქმიანობას)

**VII. პუბლიკაციები და სხვა ნაშრომები**

(შეგიძლიათ მიუთითოთ გამოქვეყნებული წიგნებისა და სტატიების საერთო რაოდენობა, მაგრამ აღნიშნეთ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების სათაურები (მაქსიმუმ 10))

**VIII. ენები**

(მოთხოვნა: ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური ენის სრულყოფილი ფლობა, ხოლო მეორე ოფიციალური ენის პასიური ფლობა)

ენა	კითხვა			წერა			საუბარი		
	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო
ა. პირველი ენა: ..... (დააკონკრეტეთ)									
ბ. ოფიციალური ენები: – ინგლისური – ფრანგული									
გ. სხვა ენები: ..... ..... .....									

*IX. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ ენის ცოდნის იმ დონეს, რომელიც მოითხოვება მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, დაადასტუროთ თქვენი განზრახვა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლედ არჩევის შემთხვევაში, გაიაროთ ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსი საქმიანობის დაწყებამდე, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ასევე საქმიანობის საწყის ეტაპზეც.*

**X. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

*XI. გთხოვთ, დაადასტუროთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში თქვენი მოსამართლედ არჩევის შემთხვევაში მუდმივად საცხოვრებელ ადგილად აირჩევთ სტრასბურგს.*

---

	ပမ္းေဒၚ် ရဲပဝဲးပဲး	၅
	ပမ္းေဒၚ် ရဲပပဲးပဲး	၆
	ပမ္းေဒၚ် ရဲပပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး	၇
	ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး	၈
	ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး	၉
	ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး	၁၀
	ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး ပဲးပဲးပဲး	၁၁
ပဲးပဲးပဲး	ပဲးပဲးပဲး	

(ပဲးပဲးပဲး, ပဲးပဲးပဲး) : ပဲးပဲးပဲး

ပဲးပဲးပဲး  
ပဲးပဲးပဲး

მეორე ოფიციალური ენის ცოდნა (შემოხაზეთ): ფლობს თავისუფლად; ფლობს საშუალოდ; აქვს პასიური ცოდნა; ვერ შევასებ.

კანდიდატის შეფასება სხვა კრიტერიუმების მიხედვით:

კანდიდატის ზოგადი შეფასება:

კანდიდატის შეფასების ერთიანი ქულა (0-დან 5-ის ჩათვლით):

შემფასებლის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

**APPENDIX I****Model curriculum vitae for candidates seeking election to the European Court of Human Rights<sup>1</sup>**

In order to ensure that the members of the Parliamentary Assembly of the Council of Europe have comparable information at their disposal when electing judges to the European Court of Human Rights, candidates are invited to submit a short curriculum vitae on the following lines:

**I. Personal details**

Name, forename  
Sex  
Date and place of birth  
Nationality/ies

**II. Education and academic and other qualifications****III. Relevant professional activities**

a. Description of judicial activities  
b. Description of non-judicial legal activities  
c. Description of non-legal professional activities  
(Please underline the post(s) held at present)

**IV. Activities and experience in the field of human rights****V. Public activities**

a. Public office  
b. Elected posts  
c. Posts held in a political party or movement  
(Please underline the post(s) held at present)

**VI. Other activities**

a. Field  
b. Duration  
c. Functions  
(Please underline your current activities)

**VII. Publications and other works**

(You may indicate the total number of books and articles published, but mention only the most important titles (maximum 10))

**VIII. Languages**

(Requirement: an active knowledge of one of the official languages of the Council of Europe and a passive knowledge of the other)

Language	Reading			Writing			Speaking		
	very good	good	fair	very good	good	fair	very good	good	fair
a. First language: ..... (Please specify)	-	-	-	-	-	-	-	-	-
b. Official languages:									
– English	-	-	-	-	-	-	-	-	-
– French	-	-	-	-	-	-	-	-	-
c. Other languages:									
.....	-	-	-	-	-	-	-	-	-
.....	-	-	-	-	-	-	-	-	-
.....	-	-	-	-	-	-	-	-	-

<sup>1</sup> This text is taken from the Appendix to Parliamentary Assembly Resolution 1646 (2009). Also available on the Parliamentary Assembly website: <http://assembly.coe.int/CommitteeDocs/2009/ModelCVEN.doc>.

***IX. In the event that you do not meet the level of language proficiency required for the post of judge in an official language, please confirm your intention to follow intensive language classes of the language concerned prior to, and if need be also at the beginning of, your term of duty if elected a judge on the Court.***

***X. Other relevant information***

***XI. Please confirm that you will take up permanent residence in Strasbourg if elected a judge on the Court.***